შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი **25 ნოემბერი, 2015 წელი**

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ენსისი“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ქელბაქიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „ენსისი“ - სთან 2015 წლის 12 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/783 ხელშეკრულებით *(ქ, თბილისში, უჩანეიშვილის ქუჩაზე საავტომობილო მილ-ხიდის მიმდებარედ საფერდე კედლების მშენებლობის სამუშაოების (II ეტაპი) შესყიდვა)* გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა ტექნიკური სირთულეები, ხოლო სამუშაოების ტექნოლოგიური ნორმის დაცვით წარმოება მოითხოვს სამშენებლო პროცესის გარკვეული დროით დაყოვნებას (კერძოდ, შეუძლებელია რკინაბეტონის საფერდე კედლებთან გრუნტის სრულად უკუჩაყრა, რადგან რკინაბეტონის კონსტრუქციას სჭირდება საპროექტო სიმტკიცის მიღება მასზე მოსული შესაბამისი დატვირთვებისადმი მედეგობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გარემოება აგრეთვე ხელს უშლის ნაყარი გზის მოწყობას და სტიქიის შედეგად დანგრეული ღობის აღდგენას), ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - თანხმდებიან:

1.1 გაიზარდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა და ხელშეკრულების 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.“

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 25 ნოემბრის N10-18/17216 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 12 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/783 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
მერის მოადგილე

გ. სოლომონია

მიმწოდებელი:
შპს „ენსისი“
ს/კოდი: 206317948
დირექტორი

გ. ქელბაქიანი